**დღის ნომერში 8**

- „დილა“ ათენებს „გაზაფხულს“
- მატჩი ფსიქოლოგიური ქვეტექსტით
- ლესელიძე — ტრამპლინი ტოკიოსკენ



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი.

№ 159 (2522) ● ხუთშაბათი, 13 აგვისტო, 1964 წ. ● ფასი 2 კაპ.

# მილოცვები, მისალმებანი, სურვილები...

## გაზეთ „ლელოს“ რედაქციას

გულითადად გისურვებთ მესამე ათწლეულშიც იყოთ მზიური საქართველოს ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების ერთგული თანამგზავრი, განავითაროთ რესპუბლიკის ფიზკულტურული მოძრაობა მტკვრის მდინარებაზე უფრო სწრაფად, ასწიოთ ქართველი სპორტსმენების ოსტატობა მყინვარწვერზე უფრო მაღლა!

ჟურნალ „სპორტივნიე იგრის“ რედაქცია.

მოსკოვი.

მიიღეთ გულწრფელი მოლოცვა საქართველოს ცურვის ფედერაციისაგან გაზეთ „ლელოს“ 20 წლისთავთან დაკავშირებით. რედაქციის მთელ შემოქმედებით კოლექტივს ვუსურვებთ შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას საქართველოს სპორტის პოპულარიზაციისთვის.

ფედერაციის სახელით,
კალანდაძე

თბილისი



მატჩში მოსკოვის „სპარტაკთან“ კვლავ საუკეთესოდ ითამაშა თბილისის „დინამოს“ მარჯვენა გარემარბმა ს. მეტრეველმა. სურათზე: ს. მეტრეველი მორიგ გარღვევაზეა მეტოქის საჯარიმო მოედანზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა. (ჩვენი სპეც. კორ.).

# რასისტები

## ვინ ვის უარყოფს?

ლოზანა, 12 აგვისტო, (საკდესი). სამხრეთ აფრიკის ოლიმპიურმა კომიტეტმა შეატყობინა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, რომ მას არ შეუძლია შეასრულოს ამ უკანასკნელის პირობები თავისი სპორტსმენების ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად. განაცხადა რა ამის შესახებ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კანცლერმა ოტო მაიერმა თავის მხრივ დაუმატა: თუ სამხრეთ აფრიკის სპორტული მოღვაწენი 17 აგვისტომდე — განაცხადების წარმოდგენის უკანასკნელ ვადამდე — არ შეცვლიან თავიანთ პოზიციას, ამ ქვეყნის სპორტსმენებს არ შეეძლებათ ოლიმპიადაზე გამოსვლა.

საკდესის კორესპონდენტი ვ. სერგეევი კომენტარს უკეთებს ამ ცნობას და წერს:

— შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ თვითონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა აცხადებს უარს ოლიმპიურ მოძრაობაში მონაწილეობაზე, მაშინ როცა ყველაფერი პირიქითაა! ოლიმპიურ მოძრაობას არ სურს თავის რიგებში იყოლიოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენლები, რადგან ამ ქვეყანაში აქამდე ბატონობს რასობრივი დისკრიმინაცია სპორტში.

ცნობილია, რომ საერთაშორისო კომიტეტმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტის წინაშე დააყენა ასეთი პირობები: ბოლო მოუღოს აპარტეიდის პოლიტიკას და გამოვიდეს რასობრივი დისკრიმინაციის საჯარო დაგმობით. როგორც ვხედავთ, ეს პირობები არ არის შესრულებული. თითქოს ყველაფერი ცხადია. მაგრამ მაიერი, რომელიც, სხვათა შორის, კანცლერის პოსტიდან მიდის, განაგრძობს რასისტებისთვის „ხელის გადასმის“ საკუთარ პოლიტიკას, რისთვისაც იგი არა ერთხელ გააკრიტიკეს.

◆ **მოსკოვი**, 12 აგვისტო. სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი ტყვიითა და სასტენდო სროლაში მაღალი შედეგებითაა დამშვენებული. დღეს „დინამოს“ ვაჟთა გუნდმა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეზე სროლაში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — **2.239** ქულა. პირად ჩათვლაში აქ უძლიერესი აღმოჩნდა არმიელი აკულოვი, რომელმაც გაიმეორა მსოფლიო რეკორდი — **566** ქულა **600**-დან.

◆ **ხარკოვი**, **12** აგვისტო. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სახელი კოშკურიდან წყალში ხტომაში მოიხვეჭა გალინა ალექსეევამ (მოსკოვი). ტრამპლინიდან ხტომაში ყველას აჯობა თბილისელმა ბ. პოლულიახმა.

◆ *მოსკოვი, 12 აგვისტო. ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის დღევანდელი ასპარეზობა მწვავე ბრძოლით ხასიათდებოდა. ლეიუს — ლიხაჩოვის წყვილმა მოუგო რუმინელ ვიზირუსა და უნგრელ კომარომის, ხოლო მეტრეველ — მძინარიშვილის დუეტი დამარცხდა ჩინელებთან (გაუ ხუონ-მუ და პენ ჩუი-იუანი) შეხვედრაში. მეტრეველმა გაიმარჯვა ტრეტინთან (გდრ). ვაჟთა ერთეულების მეოთხედფინალში საბჭოთა ჩოგბურთელთაგან გავიდნენ ლეიუსი, ლიხაჩოვი, მეტრეველი და ეგოროვი.*

◆ ლეიტკირჰი, 12 აგვისტო. გფრ-ში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე საპარაშუტო სპორტში საბჭოთა სპორტსმენებმა — კიეველმა ე. ტკაჩენკომ, მინსკელმა ვ. გურნიმ, რიაზანელმა ვ. ჟარიკოვმა და სარანსკელმა ო. კაზაკოვმა მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარეს. 1.000 მ სიმაღლიდან ზუსტად დაშვებაზე ამ ოთხეულმა წრის ცენტრიდან დაშორებაში საშუალოდ 66,5 სანტიმეტრი აჩვენა. წინანდელი მიღწევა ეკუთვნოდათ აშშ-ის სპორტსმენებს (89,5 სმ). ამ სახეობაში გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკელებმა. არაოფიციალური შედეგებით ისინი ჯერჯერობით პირველ ადგილზე არიან — 1.553,3 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომლებიც გამარჯვებულებს მხოლოდ 0,27 ქულით ჩამორჩნენ. მესამე ადგილზე დარჩნენ ამერიკელები.

◆ **ლენინგრადი**, **12** აგვისტო. საწყლოსნო-მოტორულ სპორტში სსრ კავშირის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სპორტსმენებმა სცადეს რეკორდებზე მიეტანათ იერიში. 1964 წლის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონებმა — ლენინგრადელებმა ვ. ისაკოვმა და ე. როლბანდმა კატარღა „კ—02“-ზე 50 კმ დაფარეს 66,482 კილომეტრის საშუალო სიჩქარით საათში. წინანდელი საკავშირო მიღწევა ა. ფუქსისა და კ. სტეპანოვისა გაუმჯობესდა 3,362 კილომეტრით საათში.

# მორიგი ტურის წინ

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრე დამთავრდა. გათამაშების ეკვატორი განვლო ყველა მონაწილემ, ცხრილის უჯრების ზემო ნახევრები შევსებულია მთლიანად. ხვალ ჩატარდება მორიგი XIX ტურის მატჩები.

გადაავლეთ უბრალოდ თვალი შეჯიბრების ცხრილს, შეადარეთ იგი, ვთქვათ, ორი კვირის წინანდელს და ნათლად დარწმუნდებით, თუ როგორი რადიკალური ხასიათის ცვლილებები მოხდა მონაწილეთა იმ ჯგუფში, სადაც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია „ა“ კლასის უძლიერესი ლიგის გუნდისთვის ყველაზე უფრო უსიამოვნო პერსპექტივა: განდევნა.

აიღეთ, თუნდაც, აუტსაიდერთა ჯგუფის ორი თითქოს ყველაზე უფრო უნუგეშო და განწირული გუნდი—„შინიკი“ და „ზენიტი“. სულ რამდენიმე ტურის წინ მათი აქტივი იმდენად უმნიშვნელო იყო, ხოლო დანაკარგი იმდენად დიდი, რომ ხსნა მხოლოდ სასწაულს შეეძლო. უახლოესი მეტოქეებიც კი, რომლებიც თვითონ იმყოფებოდნენ სახიფათო ზონაში, საკმაო განსხვავებით იყვნენ დაცილებული ამ ორ გუნდს.

და სასწაულიც მოხდა: როგორც „შინიკმა“, ისე „ზენიტმა“ მთელი ძალები მისცეს გამარჯვებისთვის ბრძოლას, თითქმის შეუძლებელი შეძლეს და ბოლო ტურებში შესანიშნავად ჩატარებული მატჩების შედეგად შეიქმნეს თავისებური ტრამპლინი, საიდანაც სულ მცირე ნახტომია საჭირო გათამაშების ცხრილის შუაგულში მოსახვედრად. მთელი ეს „სასწაული“ აიხსნება მხოლოდ იმით, რომ „შინიკმა“ და „ზენიტმა“ უკეთ დაიწყეს თამაში. ახლა არიერგარდში მყოფ 6 გუნდს აქვს 13-14 ქულა და ბრძოლა მათს შორის ფაქტიურად თავიდან იწყება. ჩამორჩა მხოლოდ „მოლდოვა“, რომლის 11 ქულა საკმაოზე მეტი ხანია ერთ წერტილზეა გაყინული.

ხვალინდელი ტური, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ცენტრალური მატჩით, რომელსაც ყველა მოუთმენლად ელის. მოსკოვში ერთმანეთს ხვდება ორი ლიდერი, დედაქალაქის ორი გუნდი—„ტორპედო“ და ცსკა. აბა, სცადეთ და გააკეთეთ პროგნოზი—ვინ მოიგებს ამ უდიდესი მნიშვნელობის თამაშს! „ტორპედო“, რომელმაც სულ ახლახან გაუგონარი დამარცხება მიაყენა „სპარტაკს“ (5:0), თუ ცსკა, რომლის ფორვარდების შედეგიანობა ბოლო ხანებში გამოიხატება ისეთ ციფრებში, როგორიცაა 4, კვლავ 4 და 10-ც კი. ბრძოლა შეუპოვარი იქნება.

ზევით ჩვენ ვლაპარაკობდით „ზენიტისა“ და „შინიკის“ დიდ პროგრესზე. ხვალ ორივე ამ გუნდს ახალი გამოცდა ელის. ლენინგრადელები ხვდებიან „კაირატს“, ხოლო იაროსლაველები — როსტოვის არმიელებს.

ზედიზედ მოპოვებულ წარმატებათა შემდეგ რამდენადმე დათმო პოზიციები „ვოლგამ“, რომელმაც ამის შესაბამისად ცხრილის ქვემო ნახევრისკენ დაიწია. ხვალ მისი მეტოქეა „ა“ კლასის ყოფილი ლიდერი—დონეცკის „შახტიორი“. გამარჯვების შემთხვევაში „ვოლგის“ საქმეები საგრძნობლად უმჯობესდება. არსებითი მნიშვნელობა აქვს მატჩის შედეგს „კრილია სოვეტოვსა“ და „მოლდოვას“ შორისაც, რომელიც კუიბიშევში უნდა შედგეს.

დაბოლოს, მინსკის „დინამოს“ შესახებ, რომელიც ხვალ თავის მინდორზე ეთამაშება ბაქოს „ნეფტიანიკს“. წავიდა ის დრო, როცა მინსკელთა უაღრესად აგრესიული, მოძრავი თავდასხმა მეტად ლამაზ, სანახაობრივ თამაშს ქმნიდა და გატანილი გოლების მხრივ ერთ-ერთი მოწინავე იყო „ა“ კლასში. ახლა აქ სულ სხვა სურათია: ბელორუსიის გუნდის დაცვა მთელი თავისი შესაძლებლობით იბრძვის კარის უვნებელყოფისთვის, თავდასხმა კი ძირითადად უზრუნველად იმყოფება თავისი უკანა ხაზების მოთამაშეთა კმაყოფაზე. სხვაგვარად არც შეიძლება აიხსნას: მინსკელთა თავდასხმამ გაიტანა სულ 8 გოლი (ყველაზე უარესი შედეგი „ა“ კლასში), ხოლო დაცვამ გაუშვა 7 ბურთი (ყველაზე უკეთესი შედეგი „ა“ კლასში). სწორედ დაცვის წყალობითაა, რომ მინსკის „დინამო“ ფრედ დამთავრებული მატჩების თავისებური რეკორდსმენია ყველა მონაწილეს შორის—11. გარდა ამისა, მინსკელებს აქვთ კიდევ ერთი სამწუხარო „რეკორდი“—მათ 9 მატჩი დაამთავრეს უშედეგოდ—0:0. ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზეა „კრილია სოვეტოვი“—6, მესამეზე—მოსკოვის „დინამო“—5.

ფერიცვალა ქუთაისიდან

# წყალი გამოიძებნა, მუშაობა გაჩაღდა

ნიჩბოსანთა ბაზის მოსაწყობად ქუთაისში დიდ ხანს ეძებდნენ ადგილს. ქალაქთან ახლო იყო რიონჰესის წყალსაცავი, მაგრამ იგი არ გამოდგა, რადგან ტრასა ხშირად საჭიროებდა დანალექისაგან გაწმენდას, რაც აფერხებდა წვრთნას. არჩევანი გუმათის წყალსაცავზე შეჩერდა. იგი ყველა პირობას აკმაყოფილებს და შეიძლება ითქვას, რომ სწორედ აქაა ჩვენს რესპუბლიკაში ნიჩბოსნობისთვის ყველაზე ხელსაყრელი წყალი და ბუნებრივი პირობები. მაგრამ ეშორათ ქუთაისელ ნიჩბოსნებს გუმათის წყალსაცავი, თანაც არა და არ მოხერხდა მათთვის სპეციალური ტრანსპორტის გამოყოფა.

და აი, როგორც იქნა, მიაგნეს — ამჯერად რიონჰესის სათავეს. იგი მოიწონეს სპეციალისტებმაც და სპორტსმენებმაც და ქუთაისის სპორტკავშირმა განათლების განყოფილებასთან ერთად ფართოდ გააჩაღა პირველი რიგის სამუშაოები — გამოიძებნა ელინგი, მოგვარდა გეგმაზომიერი წვრთნის საკითხი.

განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლის 6 ჯგუფისა და სპორტკავშირის ჯგუფების წარმომადგენლებს ახლა ყოველდღე ნახავთ აქ. წყალს ხან კანოისტები და საბაიდარო ნიჩბოსნობის მომავალი ოსტატები „იპყრობენ“, ხანაც აკადემიური ნიჩბოსნობის ტრფიალნი. განსაკუთრებით მონდომებით მუშაობენ მწვრთნელები ლ. ბარისაშვილი და კ. ლიპარტელიანი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულები, ამ საქმის კარგი სპეციალისტები და ენთუზიასტები. მართალია, ჯერ კიდევ შესავსებია ინვენტარის ფონდი, მაგრამ უკეთესი მერმისის მოლოდინში არსებულითაც კმაყოფილდებიან, რადგან გრძნობენ ქალაქის განათლების განყოფილებისა და სპორტკავშირის მხარდაჭერას, ხარვეზების აღმოფხვრისთვის მათს ზრუნვას.

ერთი სიტყვით, ქუთაისში იგრძნობა ნიჩბოსნობის აღმავლობა. აშკარაა, ხელმძღვანელი ორგანოებისა და სპორტსმენთა მონდომება სასურველ ნაყოფს გამოიღებს და ალბათ მალე ქუთაისელებიც იბრძოლებენ საპრიზო ადგილებისთვის რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. სამწუხაროდ, არის ხელშემშლელი ფაქტებიც, რომელთა მოგვარება აუცილებელია უახლოეს ხანში. ვერ იქნა და ვერაფრით ვერ მოუგეს გული დოსააფის საქალაქო კომიტეტს, რომელსაც კატეგორიულად არ სურს ნიჩბოსანთა წვრთნის ადგილზე მაშველი საგუშაგოს მოწყობა. ჯერ კიდევ ნაკლებ პროპაგანდას უწევენ სპორტის ამ საინტერესო სახეობას საშუალო სკოლებში. საჭირო კია ბავშვთა ინტერესების გაზრდა! აუცილებელია აგრეთვე შეჯიბრებისა და სამატჩო შეხვედრების ხშირად გამართვა.

ო. გელაშვილი
(ჩვენი სპეც. კორ.).

* * *

სურათზე: ქუთაისელ ნიჩბოსნებს მორიგი ვარჯიშის წინ მითითებას აძლევს მწვრთნელი კ. ლიპარტელიანი.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.



## პიონერთა საკავშირო ფორუმზე

არტეკი, 12 აგვისტო. აქ დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს პიონერთა II საკავშირო თამაშები. უკვე დამთავრდა შეჯიბრება მძლეოსნობაში, ცურვასა და ტანვარჯიშში, ხოლო ფრენბურთელებმა და კალათბურთელებმა მოათავეს შერჩევითი თამაშები.

ქალაქების პიონერთა რაზმეულებს შორის დაწინაურდნენ რუსეთის ფედერაციისა და მოსკოვის გუნდები, ხოლო სასკოლო რაზმეულებს შორის პირველი ადგილის პრეტენდენტები არიან საქართველოს, ბელორუსიის, რსფსრ-ს და უზბეკეთის კოლექტივები.

მძლეოსნურ ოთხჭიდში დიდ წარმატებას მიაღწია ჩელიაბინსკელმა მოსწავლემ გალია მიშკევიჩმა, მან მოაგროვა 438 ქულა. ეს შედეგი ახალი საკავშირო მიღწევაა პიონერთა შორის.

## სპორტული ქრონიკა

### ქობულეთი

აქ დასასვენებლად იმყოფებოდნენ განელი სტუდენტები, რომლებიც მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. სტუმრებმა ამხანაგური შეხვედრა მოაწყეს ადგილობრივ ფეხბურთელებთან. საინტერესო მატჩი მოიგეს ქობულეთელებმა—4:3.

ლ. ტრაპაიძე

### ბათუმი

ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის სტადიონზე სამ დღეს გრძელდებოდა ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების თასის გათამაშება ფეხბურთში.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რუსთავის აზოტოვანი სასუქებისა და ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნების გუნდები. დაძაბული მატჩი მოიგეს ბათუმელებმა — 4:3.

ო. მურვანიძე

## ტყვიები ხვდება მიზანს

მოსკოვი. [illegible] სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა [illegible] სროლაში. ლენინგრადელმა ს. კალინინმა სასანგრე სტენდზე სროლაში მოაგროვა 192 ქულა 200-დან და მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი. ქალთა შორის ამ სახეობაში ყველას აჯობა მოსკოველმა ვ. გერასინამ. მრგვალ სტენდზე სროლაში საუკეთესო შედეგები ჰქონდათ ე. ტოომს (ტარტუ) და ლ. სიდოროვას (დონის როსტოვი).

50 მეტრზე მიზანში „გაქცეული ირემი“ ყველაზე კარგად ისროლა (80 გასროლა) ახალგაზრდა რიგელმა დინამოელმა ა. ბუცისმა (348 ქულა). ამ ვარჯიშში გაიმარჯვა „დინამოს“ ოთხეულმა.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება 50 მ მცირეკალიბრიანი შაშხანიდან წოლელა სროლაში მოიპოვა არმიელმა ტ. რიაბინსკაიამ (60 გასროლა — 588 ქულა). გუნდურ ჩათვლაში აქაც წინ აღმოჩნდნენ დინამოელი ქალები.

# იპოდრომი... ქათმებისათვის

„დღეს ქობულეთის იპოდრომზე გაიმართება დიდი შეჯიბრება ცხენოსნობაში. პროგრამაშია დოღი, დაბრკოლებათა გადალახვა. შეჯიბრების დასაწყისი საღამოს 6 საათზე“. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი აფიშაა, რომელიც ცხენოსნობის მოყვარულებს მოუწოდებს დაესწრონ საინტერესო სანახაობას; აფიშა, რომელიც ქობულეთის რაიონში თვალითაც არ უნახავს არც ერთ ადამიანს ბოლო ექვსი-რვა წლის მანძილზე; აფიშა, რომელიც ცხენოსნობის გულშემატკივრების ოცნებად გადაიქცა.

ეს ოცნება იმდენად განუხორციელებელი აღმოჩნდა, რომ ცხენოსნობის ხსენებაზე ქობულეთში ყველაზე დიდი მოყვარულიც კი მწარედ ჩაიქნევს ხელს და შეიძლება მაგარი სიტყვაც წამოცდეს ზოგიერთთა მისამართით.

რით შეიძლება ვანუგეშოთ ეს „ხელჩაქნეული“ ადამიანები? იქნებ, იმ ცნობილი გამოთქმით, რომ „ოცნება ის არის, რაც არასოდეს არ აგისრულდება, ამაშია მისი მშვენიერება“...

იყო დრო, როცა ქობულეთელი ცხენოსნები „შიშის ზარს“ სცემდნენ თავიანთ მეტოქეებს. ახლა კი ის საამაყო წლები დიდი ხანია დავიწყებას მიეცა.

ტრადიციის სავალალო მოშლა ბუნების რამდენიმე „კანონზომიერებამ“ განაპირობა. სახელდობრ იმან, რომ ცხენებს მოვლა-პატრონობა და საკვები უნდათ და ისინი ისევე ემორჩილებიან ჟამთა ულმობელ სვლას, როგორც ყველა სხვა სულიერი. და აი, ამ კანონზომიერებამ მანამდე იმოქმედა, სანამ ცხენოსნობის აქაურ მესვეურთ (და ზოგ სხვა ვინმესაც) ცხვირწინ არ დაუსკუპა გასათვალისწინებელი, მაგრამ მათ მიერ გაუთვალისწინებელი პრობლემები: საკვების შოვნა და მასთან დაკავშირებული სახსრები, ხანდაზმული ცხენების ახლებით შეცვლა. ცნობილი გამოთქმა რომ შევატრიალოთ, რაკი მუჰამედი არ მივიდა მთასთან, მთა მოვიდა მუჰამედთან და ბუნების ამ ფენომენის წინაშე შემკრთალმა რაიონის ხელმძღვანელობამ სხვა ვერაფერი მოიფიქრა გარდა იმისა, რომ თავი აერიდებინა როგორც პირველი, ისე მეორე პრობლემისთვის.

და აი, ამ „ტაქტიკური სვლის“ კანონზომიერი შედეგიც: ქობულეთის ერთ-ერთ გაშლილ მოედანზე, რომელიც წარმატებით ასრულებდა იპოდრომის როლს, თითქოს და სხვა ადგილები აღარ გამოიძებნებოდა, გააშენეს პლანტაცია, ტუმბოსაშრობი და... ქათმების ფერმა! ხომ არ იფიქრეს, ცხენოსნებს თუ არა, ქათმებს ხომ მაინც შევუქმნითო ფართო ასპარეზს?!

მაგრამ ერთი კითხვა მაინც რჩება დღის წესრიგში: ნუთუ ქობულეთის რაიონში იმდენად გაუჭირდათ, რომ დასაშვები გახადეს ხელის ერთი მოსმით ცხენოსნობის მოშლა?

და სანამ ამაზე გვიპასუხებდნენ, კარგი იქნება სათანადო ინსტანციებმა გაიხსენონ აჭარის პარტიის საოლქო კომიტეტის დადგენილებაც, რომელიც, კერძოდ, ქობულეთელებისგანაც მოითხოვდა ცხენოსნური სპორტის აღორძინებას.

გ. გიგაური
(ჩვენი სპეც. კორ.).
ქობულეთი.

## სპორტულ მოედანზე— დაფნის პლანტაცია

*სპორტული მუშაობის სათანადოდ გაშლისთვის აუცილებელია ბაზა. ამ საყოველთაო ჭეშმარიტებას მტკიცება არ ჭირდება, მაგრამ როცა უკვე გაკეთებულს ანადგურებენ, არ შეიძლება ამ ჭეშმარიტებას არ დაუბრუნდე. საქმე იმაშია, რომ ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიის კოლმეურნეობაში ახალგაზრდების მიერ მოწყობილ სპორტულ მოედანზე დაფნა დარგეს.*

*ასევე მოხდა ჭალადიდის საბჭოთა მეურნეობაში.*

*განა ეს მოსათმენია?!*

გ. ალშიბაია
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდის რაიონი.

# „გაზაფხული“—ფიზკულტურული

შოთა კაკაურიძე, თბილისის 87-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი, ზღვაზე გასამგზავრებელ გეგმებს აწყობდა, რომ, მოულოდნელად, პარტიის რაიკომში გამოიძახეს.

...რაიკომის მდივანმა გაშლილ გაზეთზე მიუთითა:

— როგორ მოგწონს?

მოსულმა შუა გვერდებს დახედა. იქ დიღმის მასივის ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბზე იყო ლაპარაკი.

— „დილის“ შესახებ, პატივცემულო თეიმურაზ? ძალიან მომწონს!

— მერე? ჩვენც ხომ გვაქვს მასივი?!...

— მასივი გვაქვს... მაგრამ ინიციატივა და ხელმძღვანელია საჭირო.

— სწორედ ამისთვის დაგიბარე: აი, ინიციატივა და აი, კიდევ, შენ—როგორც ხელმძღვანელი... შენ ხომ მასივში ცხოვრობ?!

თეიმურაზ მოსაშვილის კაბინეტში გამართული ეს დიალოგი დიდი საუბრის დასაწყისს წარმოადგენდა მხოლოდ. საუბარი კი დიდ ხანს გაგრძელდა. შემდეგ მან პარტიის 26 კომისრის რაიკომის ბიუროზეც გადაინაცვლა და ასეთსავე დიდ, კეთილშობილურ საქმეს დაედო სათავედ.

შოთა კაკაურიძემ, რა თქმა უნდა, მაშინვე უკუაგდო გუდაუთში ოჯახთან ერთად გამგზავრება. ეს „რა თქმა უნდა“ პლაკატი არ გახლავთ. იგი ცოცხალი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გულითადი სინამდვილეა. ბიუროს შემდეგ თ. მოსაშვილმა ხუმრობით უთხრა ახალი კლუბის ორგანიზატორს:

— ოჯახი ხომ არ აგიმხედრდება?

— რას ბრძანებთ! ჩემი მეუღლე რომ გაერკვა ყველაფერში, გუდაუთიც გადაავიწყდა და სიხარულით ტაში შემოკრა. ბავშვებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!

ეს სიხარული მხოლოდ შოთას მეუღლეს როდი შეეხო. რამდენიმე დღის შემდეგ კაკაურიძემ თავისი მასივის, მესამე საცხოვრებელი მასივის, მკვიდრთ გააცნო მთელი გეგმები და თვალნათლივ ატყობდა, თუ გადაშლილი პერსპექტივების შესაბამისად როგორ სიამოვნებით იბადრებოდა მსმენელთა სახეები.

პერსპექტივები კი III მასივის ცხოვრების უახლოესი მომავლის სურათებს სახავდა:

...მასივის ტერიტორიაზე ასამდე სპორტული მოედანი და მინდორია— ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთისა... ფეხბურთის მინდორს, გარსშემოჯარული საჯდომი სკამების გასწვრივ, მძლეოსნური ბილიკები და სექტორი აკრავს. შაბათკვირას, და საერთოდ, თავისუფალ დროს ამ ბაზებზე მთელი მასივის ახალგაზრდობაა გამოფენილი და მისი ხალისიანი ჟრიამული ავსებს ყველაფერს.

არა მარტო ახალგაზრდობა! ჯანმრთელობის ათობით ჯგუფი ღიაა რომელი ასაკის მაცხოვრებლებისთვისაც გნებავთ. ეს ჯგუფები მხოლოდ „ცენტრალურ“ ბაზებთან კი არ მოქმედებენ, არამედ ყველგან — ყოველ კორპუსთან... და ეს III მასივის მცხოვრებთა „საკუთარი“ წამოწყებაა; სწორედ აქ, მათ საცხოვრებელ კორპუსებთან შეიქმნა პირველად თავისებური „კომპლექსური ბაქნები“: ყოველი სახლის წინ გადაშლილი თავისუფალი არე სამ სექტორადაა დაყოფილი ხეების მწკრივით. მარცხენა მხარეს ფრენბურთისა და კალათბურთის კომბინირებული მოედანია; ცენტრში, რომელიც ვენახის თალარითაა დაბურული, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშისა და სხვა „სამაგიდო“ თამაშების მოყვარულთა ადგილია მოთავსებული, ხოლო მარჯვნივ „ასპარეზი“ სულ პატარებს აქვთ დათმობილი: ისინი აქ საქანელაზე ან დასაცურებელ ბაქანზე ერთობიან, ან სულაც სილას ჩიჩქნიან, რომელიც საგანგებოდ მათთვის არის მოზიდული ოთხკუთხა ორმოში.

ეს კიდევ არაფერი! მასივს საკუთარი წყალჯომარდობის აუზი აქვს, სადაც დილიდან საღამომდე არ წყდე- წყლის დგაფუნის საამო ხმა. თბილ- სის ზღვაზე კი, რომელიც აქედან რამ- დენიმე კილომეტრითაა დაშორებული,

თბილისის ზღვაზე III მასივს სა- კუთარი სექტორი აქვს გამოყოფილ- იგი ზუსტად ისევეა მოწყობილი, რო- გორც ნამდვილი ზღვის პირი: სოკ- საჩრდილობლები, გასახდელები, ნავ- ბი... რადიოკვანძიდან მხიარული მ- სიკის ხმები ისმის... შაბათ-კვირაობ- აქ მანქანებით ამოდის „საველე“ ბ- ფეტები — საუზმე, ცივ-ცივი სასმელ- ყველა საჭირო „საზღვაო“ საქონელი. ღამისმთევლები კი „საგზურების“ მ- სატყვისად ნაწილდებიან გაშლილ კა- ვებში, რომელთა წინ, ნავთქურიდ- ადენილ ოხშივართან ერთად, მადი- აღმძვრელი სუნი ტრიალებს...

...ვილაცამ ამოიხვნეშა. ეს, რა თქ- უნდა, სკეპტიკოსია, ურომლისოდ- ვერც ერთი თავყრილობა ვერ „გადა- ჩება“.

— ჰო, სიტყვებით ეგ ყველაფე-

# ფეხბურთი

# 2×(1:0)=4

## ს. მეტრეველის ბრწყინვალე თამაში

მოსკოვი, 12 აგვისტო (ჩვენი სპეც. კორ.). ისევე, როგორც წლევანდელი ჩემპიონატის სტარტზე, თბილისის დინამოელებმა ამჯერადაც ანგარიშით 1:0 დაამარცხეს მოსკოვის „სპარტაკი“. ჩვენი ქვეყნის ექს-ჩემპიონი პირველი გუნდი აღმოჩნდა, რომელსაც თბილისელებმა ამ სეზონში 4 შესაძლებლიდან 4 ქულა „წაართვეს“. ვისაც ახსოვს სპარტაკელთა საგაზაფხულო გამოსვლა თბილისში და მასპინძელთა ძნელი მოგება, შეუძლია დამერწმუნოს, რომ გუშინდელ მატჩშიც თბილისელებს ისევ მძიმე ბრძოლაში მოუხდათ გამარჯვების გამოჭედვა.

გუნდების მატჩისწინა განწყობილებაზე ლაპარაკი ზედმეტია. დინამოელები, რომლებმაც საუცხოოდ დაიწყეს ორთაბრძოლა არმიელებთან და მხოლოდ მცველთა უხეში შეცდომების გამო დაყარეს ფარ-ხმალი, აღსავსენი იყვნენ ჟინით—დაემტკიცებინათ, რომ მათ მარტო ლამაზი თამაში კი არ იციან, არამედ შესწევთ უნარი—ბეჭებზე დასცენ მეტოქე.

სპარტაკელებს, რომლებმაც ამას წინათ საშინელი ნოკაუტი იგემეს ტორპედოელთაგან, ესაჭიროებოდათ რეაბილიტაცია: მათი ულიმღამო შეხვედრა „კაირატთან“ (თასზე) სათვალავში, ცხადია, არ მოდიოდა!

ასე რომ, გუშინდელ ორთაბრძოლას თავისებური ფსიქოლოგიური ქვეტექსტი ჰქონდა—მას უნდა ეჩვენებინა, როგორ გადაიტანეს გუნდებმა ახლახან მიღებული შემაძრწუნებელი დარტყმები და რა დასკვნები გააკეთეს.

რახან განწყობილებაზე ჩამოვარდა სიტყვა, მოვიყვან ერთ საინტერესო დეტალს: მესხმა, რომლის ძირითად შემადგენლობაში შეყვანას გუნდის ხელმძღვანელობა თვის ბოლოსთვის გეგმავდა, მოულოდნელად ითხოვა „სპარტაკთან“ თამაში. წინადადება მაცდუნებელი იყო, მაგრამ სარისკოც. მწვრთნელებმა გადაწყვიტეს მოეწყოთ მესხისთვის გენერალური რეპეტიცია — იგი გუშინწინ დუბლების მატჩში გამოიყვანეს. მესხმა ბრწყინვალედ ითამაშა პირველი ტაიმი, რის შემდეგ იგი შეცვალეს.

ეს იმას ნიშნავდა, რომ...

ეს ჯერ არაფერს ნიშნავდა.

„სპარტაკთან“ მატჩზე გაცხადებული 11 მოთამაშის სიაში მესხის გვარი არ ეწერა. სამაგიეროდ, დინამოელთა მარცხენა გარემარბმა დათუნაშვილმა მიიღო სპეციალური დავალება—განუწყვეტელი, მკვეთრად მოსხლეტილი სირბილით, ფრონტსა და სიღრმეში ხშირი გადანაცვლებით არაქათი გამოეცალა თავისი „შეფის“— გრიგორიევისთვის და მაქსიმალურად გაეადვილებინა შემდგომში თამაში მესხისთვის, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი „შესვენების“ შემდეგ უნდა გამოსულიყო მინდორზე. სამწუხაროდ, დათუნაშვილმა ამ ამოცანას თავი ვერ გაართვა. იმიტომ კი არა, რომ იგი სხვა, უფრო სერიოზული საქმეებით იყო დაკავებული. არა. მან უბრალოდ სუსტად ითამაშა. მართალია, თავდაპირველად ეს კაცს მაინცდამაინც არც კი ეცემოდა თვალში, რადგან ორივე მხარემ როგორღაც ზანტად, ნერვიულად (და მრავალი ტექნიკური შეცდომით) დაიწყო თამაში.

უკვე პირველ წუთზე სპარტაკელთა მეკარემ მასლაჩენკომ მოიგერია ბარქაიას ზუსტი, მაგრამ უღონო დარტყმა. შემდეგ, მე-10 წუთზე, სპარტაკელებმა შექმნეს სახიფათო მომენტი „დინამოს“ კართან: ცენტრიდან შემოჭრილმა ჰუსაინოვმა ბურთი ფალინს გადაუგდო, რომელმაც ძლიერად და ზუსტად დაარტყა კარის დაბალ კუთხეში. კოტრიკაძემ მოასწრო ამ უძნელესი ბურთის უკუგდება.

დინამოელებმა მსწრაფლ უპასუხეს: ბარქაია გავიდა პირით ხაზამდე და კარგად დააბრუნა ბურთი. დათუნაშვილი მოემზადა თავური დარტყმისთვის, მაგრამ მასლაჩენკომ მოახერხა მუშტით ბურთის მოგერიება.

2 წუთის შემდეგ ბ. სიჭინავამ განახორციელა თავისი საყვარელი რეიდი, მაგრამ იგი უხეიროდ დააგვირგვინა: შეეძლო ბურთი იქვე მდგარი, „გახსნილი“ პარტნიორებისთვის გადაეცა, მაგრამ თავად დაარტყა და უზუსტოდაც.

მე-16 წუთზე მეტრეველმა ფლანგიდან ჩამოაწოდა საჯარიმო. ბარქაიამ ჰაერში დაიჭირა ბურთი, თვალის დახამხამებაში დაამუშავა და გაგზავნა კარში. დარტყმა რომ ცოტა უფრო ძლიერი ყოფილიყო, მასლაჩენკო ნაღდად ვერ მოახერხებდა მასზე რეაგირებას.

ზემოჩამოთვლილი მომენტები მოწმობენ, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, მინდორზე გაჩაღდა მწვავე ბრძოლა, თუმცა ტემპი ისევ ნელი იყო და გუნდებიც მთლად უცოდველად როდი მოქმედებდნენ. მაგალითად, გ. სიჭინავა ზედმეტად აჩერებდა ბურთს, ხოლო მცველებს (რომლებმაც ასე სუსტად ითამაშეს ცსკა-სთან) კვლავ აციებდათ და აცხელებდათ, თუმცა ამჯერად მათში მეტი თანხმობა იყო. „დინამოს“ მცველთა განსაკუთრებით დამახასიათებელი ნაკლი გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი მეტოქეს ბურთის თავისუფლად მიღებისა და დამუშავების საშუალებას აძლევდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ უტევდნენ მას (?!). იყო უხეში შეცდომებიც: მაგალითად, 24-ე წუთზე ბ. სიჭინავამ, რომელიც კოტრიკაძისთვის აპირებდა ბურთის გადაცემას, იგი პირდაპირ ფეხებში მიუგორა ჰუსაინოვს. ამას მოჰყვა კარის გასწვრივი მწვავე ჩაწოდება. კიდევ კარგი, რომ კარიდან ერთი მეტრის მოცილებით მყოფმა პოსუელომ ბურთს უბრალოდ ფეხი ააცილა.

არცაა საჭირო ორივე კართან შექმნილი ყველა მწვავე მომენტის აღწერა (ამგვარი მომენტი დინამოელთა კართან უფრო მეტი იყო). ყველა მათგანი შესვენებამდე უშედეგო აღმოჩნდა.

„სპარტაკი“ უმთავრესად იმუქრებოდა მარცხენა ფლანგით, ხოლო „დინამო“ — მარჯვენათი. მეტრეველი, რომელიც ჭეშმარიტად მატჩის უძლიერესი მოთამაშე იყო, ყველაფერს აკეთებდა, რასაც კი მოისურვებდა, მსუბუქად, დაუძაბავად და მოხდენილად ჯაბნიდა არა მარტო წონასწორობიდან გამოსულ დიკარევს, არამედ თავის გზაზე გადაყრილ სხვა სპარტაკელებსაც.

მეორე ტაიმი მეტრეველმა მარცხენა ფლანგზე დაიწყო (მისი „საშტატო“ ადგილი დაიკავა დათუნაშვილმა). მარცხნივ გადაინაცვლა ბარქაიამაც. როგორც ცოტა ხანში გამოირკვა, ჩანაფიქრი საკმაოდ მარტივი იყო: დიკარევს არ შეეძლო გაჰყოლოდა თავისი ზრუნვის „ობიექტს“, რადგან გრიგორიევს თურმე არ შეუძლია მარცხენა მცველად თამაში. და ხელსაყრელი გახლდათ ეს მისი გუნდისთვის თუ არა, დიკარევიც იძულებული იყო თავის ადგილზე დარჩენილიყო. მეტრეველმაც არ დააყოვნა — პირდაპირ „ნერვები აუშალა“ გრიგორიევს და დინამოელთა იერიშებმა უფრო მრისხანე იერი მიიღო.

მატჩის 61-ე წუთი. თბილისელთა მორიგი გარღვევა შეწყვეტილია დაუშვებელი ხერხით. კარის პირდაპირ, ასე, 20 მეტრის დაცილებით, ინიშნება საჯარიმო. ბურთთან სამი დინამოელია — წინ სპარტაკელთა კედელია აღმართული. ბარქაია დასარტყმელად გამოქანდა, მაგრამ ბურთს გვერდი აუარა და მისი ზურგიდან იამანიძემ იგი იქვე მდგარ მეტრეველს გაუგდო. ამ უკანასკნელის დარტყმა მიზანს მოხვდა: ტყვიასავით წასული ბურთი რომელიღაც მცველს შეეხო და კარის დაბალ კუთხეში შევარდა.

დარჩენილ ნახევარ საათში თამაშმა სულ სხვა ელფერი მიიღო. უპირატესობა — როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ტაქტიკური — მტკიცედ გადავიდა დინამოელთა ხელთ. ისინი კვლავ აუჩქარებლად ახორციელებდნენ კომბინაციებს, მაგრამ ახლა ეს იყო ჭკვიანური, გააზრებული და გაანგარიშებული სიდინჯე. — თბილისელები დიდ ხანს ფლობდნენ ბურთს და მაყურებელს უჩვენებდნენ მაღალ ოსტატობას, აუღელვებლობას, მობილიზებას. „დინამო“ მთლიანად გახდა მდგომარეობის ბატონ-პატრონი, რასაც სპარტაკელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. ჩვეულებრივ აგრესიული რეინგოლდის (შეცვალა ლოგოფეტი) გამოსვლამაც კი იოტისოდენა გარდატეხა ვერ შეიტანა სპარტაკელთა თამაშში. მხოლოდ ერთხელ იყო „დინამოს“ კარი საფრთხეში, მაგრამ ჰუსაინოვმა ხელსაყრელი მდგომარეობიდან უზუსტოდ დაარტყა.

თბილისის „დინამომ“ მოიპოვა ძალზე შთამბეჭდავი და სავსებით დამსახურებული გამარჯვება.

მოსკოველმა სპეციალისტებმა სათანადოდ შეაფასეს თბილისელთა თამაშის კლასი და მათი საუცხოო სპორტული ფორმა. აქ ფიქრობენ, რომ თუ თბილისელები წარმატებით ჩაატარებენ მომდევნო ორ მატჩს ლენინგრადსა და გორკში, მათ გაეხსნებათ გზა ოქროს მედლებისკენ.

ვ. აკოფოვი





პირველ ტაიმში რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა თბილისელთა მეკარეს ს. კოტრიკაძეს. ს ურათებზე—მარჯვნივ: ს. კოტრიკაძე იგერიებს მოსკოველთა სახიფათო შეტევას; მარცხნივ: გოლი მოსკოველთა კარში. მეკარე ვ. მასლაჩენკო უძლურია აიღოს ბურთი.

ფოტო მ. ზარგარიანისა (ჩვენი სპეც. კორ.).

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### რსფსრ-ს IV ზონა

### „ალაზანი“ (გურჯაანი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 0:0

**გურჯაანი**, 12 აგვისტო (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ). აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ალაზანი“ და ორჯონიკიძის „სპარტაკი“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

### „მეტალურგი“ (რუსთავი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 3:2

**რუსთავი**, 12 აგვისტო (ტელეფონით ჩვენი კორ.). რუსთავის „მეტალურგის“ ფეხბურთელებს თავიანთ მინდორზე შეხვედრა ჰქონდათ ზონის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან — ნალჩიკის „სპარტაკთან“.

თამაში რუსთაველთა შეტევებით დაიწყო და უკვე მე-4 წუთზე მალიუგინმა გახსნა ანგარიში. 3 წუთის შემდეგ მალიუგინმა კვლავ გაიტანა ბურთი სტუმართა კარში — 2:0.

პირველ ტაიმში „მეტალურგის“ იერიშები არ ცხრებოდა, მაგრამ 42-ე წუთზე ნალჩიკელმა კრასიკოვმა შორი მანძილიდან მოულოდნელად დაარტყა კარში. მეკარე ჩახავა მოუმზადებელი შეხვდა ბურთს და ანგარიში გახდა 2:1.

მეორე ტაიმი ორმხრივ იერიშებში მიმდინარეობდა. 75-ე წუთზე ქოჩიაშვილმა მესამე ბურთი მოათავსა მეტოქეთა კარში, მაგრამ თამაშის დამთავრებას წამები აკლდა, როცა ნალჩიკელმა კორნეევმა კარგად ისარგებლა რუსთაველი მცველების შეცდომით და მეორე ბურთი გაიტანა.

გაიმარჯვა „მეტალურგმა“ — 3:2.

რ. გაბრიჩიძე

* * *

გასვლითი მატჩები ჩაატარეს ბათუმისა და სოხუმის დინამოელებმა, აგრეთვე ფოთის „კოლხიდამ“.

ბათუმელები ლენინაკანში თამაშობდნენ ადგილობრივ „შირაკთან“, მატჩის ანგარიშია 0:0.

კიროვაკანის „ლორს“ შეხვდნენ სოხუმელი ფეხბურთელები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1.

ფოთის „კოლხიდა“ კაფანში ეთამაშა ადგილობრივ „ლერნაგორცს“. ფოთელები დამარცხდნენ — 2:3.

## შეხვედრა „კოლხიდასთან“

**ფოთი** (ჩვენი კორ.). საზაფხულო თეატრის შენობაში გაიმართა ადგილობრივი „კოლხიდის“ ფეხბურთელთა შეხვედრა ქალაქის სპორტულ საზოგადოებრიობასთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ფოთის სპორტკავშირის თავმჯდომარემ ო. ქემულარიამ. გუნდში სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობისა და ფეხბურთელთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობაზე ილაპარაკა „კოლხიდის“ უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. ანთაძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ ფეხბურთელები ლ. ძიძიგური და ა. ვერბიცკი, აგრეთვე ფეხბურთის მოყვარულნი ა. მოწერელია, ი. სარია, გ. კოკაია, ბ. გოგინავა, გ. დარჯანია და სხვ.

ამხანაგებმა განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი იმ გარემოებას, რომ ქალაქის სტადიონზე ხშირად არაა წესრიგი და ამ არანორმალური მდგომარეობის გამოსასწორებლად სათანადო მუშაობა არ ტარდება.

ა. ლომაია

# მოძრაობისა...

ძალიან ლამაზია, — თქვა სკეპტიკოსმა (მას განზრახ არ ვასახელებთ, რადგან იგი სკეპტიკოსი აღარ არის, ხოლო ერთი „ცოდვა“ ბერსაც ეპატიება), —... ეგ ყველაფერი ლამაზია, მაგრამ საქმით რა გამოვა?!.. თანაც აქ, ჩვენთან?!

ამ სიტყვებმა ერთ წამში გამოაფხიზლა შოთა კაკაურიძის მოჯადოებული მსმენელები და მასივის მოხრიოკებულ სინამდვილეს დაუბრუნა. მოშორებით გრძელ განივ თხრილს დაეღო პირი. მის იქითაც რაღაც სამუშაოებს ასრულებდნენ. სულ მახლობლად კი, სწორედ იმ ფართობზე, საითაც სკეპტიკოსი ათითებდა, ნაგვის, ქვაღორღისა და ლოდების გროვები იყო ახორხილი.

— საქმით? — თქვა შოთამ. — საქმეზე, მოდი, თუნდაც ერთი თვის მერე ვილაპარაკოთ!...

ეს ქადილს გავდა. მაგრამ უძალოს კი არა. „ძალა“ მეორე დღიდანვე გამოჩნდა სხვა ადგილებშიც და სწორედ იმ ფართობზეც, სადაც ყველანაირი გროვები იყო აღმართული.

— აქ მთავარი, ჩვენი ცენტრალური „სტადიონი“ იქნება! — უხსნიდნენ აქტივისტები ენთუზიასტ „მუშა-ხელს“. აქტივისტები კი მრავლად შემოიკრიბნენ ორგანიზატორის გარშემო: მ. ჯოხაძე — ძველი ფეხბურთელი, ი. ბროლაძე და გ. ნადებაძე — ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი, უ. შევარდნაძე და გ. პოლოსოვი — სპორტკლუბ „განთიადის“ მუშაკები, ტ. ანდრიასოვი და ა. კლემენტიევი — პენსიონერები, ნ. შანიძე — ტექნიკოსი და კიდევ ბევრი სხვა. მათ ყოველდღიურ, უშუალო დახმარებას უწევდნენ ხელმძღვანელებიც — პარტიის რაიკომის მდივნები ვ. შახდინაროვი და ს. გამრეკელი, რაისპორტკავშირის თავმჯდომარე ა. გიორგობიანი.

დილიდან საღამომდე შრომობდნენ მასივის მოსახლეთა ცვლები. ბულდოზერისა და სატკეპნი მანქანის ხმა აყრუებდა იქაურობას. თვითმცლელები მოდიოდნენ და მიდიოდნენ...

ეს ყველაფერი, დაახლოებით, 8 ივლისს დაიწყო.

8 აგვისტოს კი, ერთი თვის შემდეგ, ზუსტად ფიზკულტურელის დღეს, მასივის მცხოვრებთა ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბ „გაზაფხულის“ გამგეობის თავმჯდომარე შ. კაკაურიძე 400-კაციანი სპორტული აღლუმის პატაკს იღებდა „ცენტრალურ სტადიონზე“.

შემდეგ კი „გაზაფხულის“ პირველი მერცხლები—პირველი სპორტსმენები ამ ერთი თვის მანძილზე შექმნილი სხვადასხვა ბაზისკენ გაეშურნენ. აქვე, ფეხბურთის მთავარ მინდორზე, მოეწყო ბაგირის გადაძალვა მასივის სამი სახლმმართველობის ნაკრებ გუნდებს შორის; აქედანვე აიღო სტარტი 20-კაციანმა ტურისტულმა ჯგუფმა რაჭის მთების მიმართულებით; მე-7 კვარტალის წინ კალათბურთის მოედანზე და ფეხბურთის მინდორზე ასპარეზობაში ჩაებნენ ამ კვარტალის გუნდები; აქვე, ფრენბურთის ბაზებზე, დაიწყო ამ სახეობის მიმდევართა ასპარეზობა; მესამე კვარტალთან, კალათბურთის ორ სარბიელზე, უფროსი ასაკის სპორტსმენები შეებნენ ერთმანეთს; მათ მახლობლად კი ამ კვარტალის ფრენბურთელებსაც ორი მოედანი ჰქონდათ დათმობილი; ამავე დროს პირველ კვარტალთან, ისევ ფეხბურთის მოედანზე, უფროსი და საშუალო ასაკის გუნდების შეხვედრა მიმდინარეობდა, ხოლო მეათე კვარტალთან ფრენბურთელ ქალთა გუნდებს გაებათ „დავა“...

ამრიგად, უკვე დღეისთვის „გაზაფხულის“ გამგებლობაშია ფეხბურთის 4 მინდორი, კალათბურთის 3 და ფრენბურთის 5 მოედანი. მისივე გამგებლობაშია მასივის სამი „პირშო“ — სამი კომპლექსური ბაქანი.

ეს — რაც არსებობს. სექტემბრამდე კი კლუბს შეემატება: ფრენბურთის 3, კალათბურთისა და ხელბურთის 2-2 მოედანი, აგრეთვე 15 ახალი კომპლექსური ბაქანი სხვადასხვა კორპუსთან. ამ ბაზებზე 15 სექტემბერს გაიხსნება სახალხო კლუბის I სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შევა ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ჭადრაკი, შაში.

„დილა“ ახალი დღის დაწყებას ნიშნავს...

„გაზაფხულიც“ — ბუნების ახალ გამოღვიძებას...

ორივე კლუბი ჩვენს ფიზკულტურულ მოძრაობაში დაბადებული დიდი სიახლის დილა არის და გაზაფხული!...

შ. ვადაჭკორია

## არის მეორე სახალხო კლუბი!







კიდევ ცოტა ხანი და პოეტური ფუძიამას თავზე აინთება ოლიმპიური ცეცხლი. მისთვის მსოფლიოს მრავალი გუნდი ემზადება.

საქართველოში, შავი ზღვის პირას, ლესელიძეში, პლაჟი ამჟამად განსაკუთრებული საზეიმო იერით „გამოიყურება". არა, იმით კი არა, რომ იგი ნაირფერი ტრანსპარანტებითა და დროშებითაა მორთული. აქ სრულებითაც არ უკრავს ორკესტრი და არ ისმის მარშების ძლიერი ექო.

გარეგნულად ყველაფერი საკმაოდ პროზაულია. და მართლაც, რა არის იმაში განსაკუთრებული, რომ პლაჟზე სამიოდე ათეული ჭაბუკი და გოგონა წევს. თუმცა, ეს ახალგაზრდები მთლად ჩვეულებრივნიც არ ჩანან — ვაჟები შესანიშნავად არიან ჩამოსხმული. ხოლო გოგონები მეტისმეტი სინარნარით გამოირჩევიან. თანაც, ხანდახან, რომელიმე მათგანი წამოდგება უცბად და საკუთარ თავს გადაახტება! სწორედ საკუთარ თავს! და ამას ისე უბრალოდ და ელეგანტურად შეასრულებს, ვითომდა აქ არაფერიაო. მეორე კი ცალ ხელზე დადგება თავდაყირა და კიდევაც ამ ერთი ხელით „გაისეირნებს" რამდენიმე ნაბიჯზე. ესეც ისევე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, მსუბუქად სრულდება.

აი, მხოლოდ ეს ძალა და ჩამოსხმული გრაცია აკვირვებს და აღაფრთოვანებს გარედან მაცქერალს.

მაინც, ვინ არიან ეს ვაჟები და გოგონები?

ამჟამად ლესელიძის სპორტულ ბაზაზე ახალ ძალებს იკრებს სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა ოლიმპიური ნაკრები გუნდის „კანდიდატობა".

აქ ისინი არიან, რომლებითაც ამაყობს ჩვენი სპორტი. აი, სახელგანთქმული ბორის შახლინი მძიმე, სქელტანიან წიგნთან ერთად, რომლის წაკითხვასაც ალბათ თვეები მოუნდება. პოლინა ასტახოვა ჩრდილებისადმი განსაკუთრებულ ლტოლვას ამჟღავნებს, ხოლო ლარისა ლატინინა — ზღვის მოლივლივე ზედაპირისადმი. აქვე არიან იური ტიტოვი, თამარ მანინა, სოფიო მურატოვა, თამარ ზამოტაილოვა (ლიუხინა) და ჩვენი თანამემამულეები — მზია ნინოშვილი (გუნდში მას მზიკას ეძახიან) და ალექსანდრა ჯანუყაშვილი. თუმცა, „ალექსანდრა" ერთობ სერიოზულად და ოფიციალურად ჟღერს. ამიტომაც მას უბრალოდ ზედმეტი სახელით მიმართავენ: — დონარა! ჰო, ეს უფრო პოეტურად ჟღერს!

აქვე, პლაჟზე, თქვენ შეამჩნევთ უფრო ხნოვან ადამიანებსაც, რომლებსაც ოლიმპიელებისაგან პატარა, სულ პატარა ღიპი გამოარჩევს. ესენი მწვრთნელები და ხელმძღვანელები არიან, აგრეთვე მუდმივი კინოოპერატორი, რომელიც ფირზე აღბეჭდავს ყოველი ოლიმპიელის ყოველ ვარჯიშს და საღამოთივე უჩვენებს მათ თეთრ ეკრანზე საკუთარ „ნალვაწს".

ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვ. მურატოვი ყველაზე უფრო დაფიქრებულ ადამიანად გამოიყურება. საფიქრალი და საზრუნავი კი მას ბევრი აქვს: წლიდან წლამდე იმაღლებენ თავიანთ კლასს ისინი, რომლებიც თავის დროზე სწავლობდნენ და ახლაც სწავლობენ ჩვენი ტანმოვარჯიშეებისაგან, ისინი, რომლებიც ჩვენი მეტოქეები იქნებიან ტოკიოში. და მურატოვის სახეზე თვალნათლივ ამოიკითხავთ მთავარ საზრუნავს, მიზანსწრაფვას — გამარჯვება, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება!

ძალებს იკრებს ჩვენი ნაკრები ლესელიძეში. პლაჟზე ამ ახალგაზრდებს გამოარჩევთ ჩინებული აგებულებით და მხნე ღიმილით.

პლაჟი სწორედ ამ 12 ვაჟითა და 12 ქალით არის საზეიმო...

რ. ბაბრიაძე,
(ჩვენი სპეც. კორ.).

ლესელიძე.

* * *

1. **პოლინა ასტახოვას** რომში „რუსული არყისხე" უწოდეს. ლესელიძეში, როგორც ხედავთ, ჩრდილოეთის „არყისხემ" სუბტროპიკების პალმასთან მოინდომა გაცნობა და დამეგობრება.

2. **ლარისა ლატინინა** მხოლოდ თავისუფალი ვარჯიშის ხალიჩაზე და დვირზე როდი ცურავს ასე ნარნარად...

3. **ბორის შახლინს** ამჟამად, ლესელიძეში წვრთნის გავლის შემდეგ, თამამად შეუძლია გამოვიდეს ნიგერიის ნაკრების შემადგენლობაში. ვფიქრობთ, სამხრეთ აფრიკის ყოველი ზანგი შურით შეათვალიერებდა ჩვენს ვეტერანს: იგი თანაბრად და მუქადაა „დამწვარი". განწყობილება ჩინებული აქვს! შახლინი მზადაა ბრძოლებისათვის!

მეგობრული შარჟები ავტორისა.



# ოლიმპიური კურიოზები

ეს იყო 396 წელს ჩვენს ერამდე, 96-ე ოლიმპიურ თამაშებზე. იმ დროს ქალებს უფლება არ ჰქონდათ დასწრებოდნენ ოლიმპიადას (მონაწილეობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო!). შემჩნეულ „დამნაშავეს" სიკვდილით დასჯა ელოდა.

მაგრამ ერთხელ მამაკაცურად ჩაცმული როდოსელი ქალი კალიპატერია თან ახლდა თავის ვაჟს — ოლიმპიადის მონაწილეს. დედა კრივში მონაწილეობით იყო გართული. როცა მისმა პირმშომ ყველას აჯობა და ჩემპიონი გახდა. მშობელმა ვერ მოითმინა, გაექანა და გამარჯვებულს გადაეხვია. და აი, ყველამ შენიშნა, რომ იგი ქალი იყო! ატყდა აღშფოთებული მაყურებლების ჩოჩქოლი. მაგრამ კალიპატერიას აპატიეს „დანაშაული", რადგან იგი 76-ე თამაშებზე კრივში გამარჯვებული იაგორის ქალიშვილი აღმოჩნდა.

სენტ-ლუისის 1904 წლის ოლიმპიადაზე გამართული მარათონული რბენის მონაწილე ამერიკელი ლორზი მე-15 კილომეტრზე ავტომანქანას შეახტა და როცა ფინიშამდე 9 კმ დარჩა, კვლავ შეუერთდა ასპარეზობის მონაწილეებს. ამერიკელს ოინი გაუგეს და შეჯიბრებიდან მოხსნეს.

400 მეტრზე რბენის ფინალში ოთხი ამერიკელი და ერთი ინგლისელი გამოდიოდა. ინგლისელ ჰოლსუელს სირბილის დროს კარპენტერმა ჯერ ხელი შეუშალა, შემდეგ კი სახეში სილა გააწნა. დამნაშავე უმალ მოხსნეს შეჯიბრებიდან. როცა დაინიშნა ხელმეორე გარბენი, თანაგუნდელის დასჯით განაწყენებული ამერიკელები ფინალის სტარტზე არ გამოვიდნენ და ჰოლსუელს უბრძოლველად მიენიჭა ჩემპიონის სახელი; ეს მოხდა ლონდონის IV ოლიმპიურ თამაშებზე, 1908 წელს.

აქვე მოხდა მეორე კურიოზიც. მარათონულ რბენას ლიდერობდა იტალიელი დორანდო. იგი პირველი შეიჭრა სტადიონზე, მაგრამ არაქათგამოცლილი წაიქცა, შემდეგ წამოდგა, რამდენიმე მეტრი გაიარა და კვლავ მიწაზე გაიშოტა. მეგობრები მიცვივდნენ, წამოაყენეს, მხრებზე გაიდეს და ასე გადააკვეთინეს ფინიშის ხაზი. რასაკვირველია, დორანდო ჩემპიონი ვერ გახდა.

მომდევნო ოლიმპიადაზე, რომელიც სტოკჰოლმში მოეწყო, შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ამერიკელმა ტორპმა. იგი პირველი იყო ხუთჭიდსა და ათჭიდში. მაგრამ მან გამარჯვება დიდ ხანს როდი იზეიმა. მისი ქვეყნიდან მოვიდა ცნობა, რომ თურმე იგი წინათ ბეისბოლისტთა პროფესიული გუნდის მოთამაშე ყოფილა და უფლება არ ჰქონდა ოლიმპიადაში გამოსულიყო. ტორპს ჩამოართვეს ოქროს მედლები და ისინი შვეციის ოლიმპიური კომიტეტის საკუთრება გახდა.

მაყურებლებით სავსე „ფორო იტალიკოს" სტადიონი 1960 წლის 25 აგვისტოს მოუთმენლად ელოდა მეჩირაღდნის გამოჩენას. და აი, იგი შემოვიდა სარბენ ბილიკზე და ჩაუარა მაყურებელთა ტრიბუნებს. 100 ათასი კაცი ფეხზე ამდგარი მიესალმებოდა ოლიმპიური ცეცხლის გამოჩენას. მაგრამ მოხდა უჩვეულო რამ: მეჩირაღდნეს გამოუდგნენ პოლიციელები, ხელიდან გამოგლიჯეს ცეცხლი და კინწისკვრით გააგდეს სტადიონიდან. თურმე ეს ახალგაზრდა უბილეთოდ დარჩენილ გულშემატკივართა ერთ-ერთი ყველაზე გონებამახვილი წარმომადგენელი ყოფილა. მაგრამ მას ოინი არ გაუვიდა და ოლიმპიადის გახსნას ვერ დაესწრო.

სულ მალე სტადიონი კვლავ გულთბილად მიესალმა მეჩირაღდნეს, — ამჯერად ნამდვილს...



● **ამსტერდამი.** ტოკიოს საგზური გაინაღდა ჰოლანდიელმა მოცურავე ქალმა ბიმოლტმა. თავისი ქვეყნის ჩემპიონატში 100 მ ბრასით მან გაცურა 1.18,0-ში, რაც ევროპის ახალი რეკორდია.

● **დელი.** რომის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორები ბალახის ჰოკეიში — ინდოელი მოთამაშეები ტოკიოშიც გამოვლენ. უკვე შედგა ნაკრები გუნდი, რომელშიც შევიდა 18 სპორტსმენი.

● **ტოკიო.** ოლიმპიური კომიტეტი უშვებს ჯიბის 100-გვერდიან წიგნ-სასაუბროს, რომელშიც იაპონურ და ინგლისურ ენებზე თავმოყრილი იქნება ყველაზე უფრო გავრცელებული სიტყვები და წინადადებები.

## აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი...

▲ **ბრატისლავა.** 50-მეტრიან საწყლოსნო აუზ „მატადორში" გაიმართა მოცურავეთა საერთაშორისო ტრადიციული ასპარეზობა „ქალაქ ბრატისლავის დიდ პრიზზე". შეჯიბრებაში მასპინძელთა გარდა მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ავსტრიის, ბულგარეთის, გდრ-ის პოლონეთისა და რუმინეთის სპორტსმენები. განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა 14 წლის საბჭოთა მოცურავე გოგონამ ტ. სოსნოვამ, რომელმაც გაიმარჯვა 400 მ თავისუფალ სტილით ცურვაში (5.06.4) და მეორე ადგილი დაიკავა ამავე სტილით 100 მ — 1.05,1 (აქ გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკელმა მ. კოჩენდოვამ — 1.04,9). აღსანიშნავია მასპინძელთა შემდეგი შედეგები: 100 მ თავისუფალი სტილით — 55.3 — ი. ვაგნერი, 400 მ თავისუფალი სტილით — 4.27,2 — პ. ლოგნიცკი, 200 მ ზურგზე — 2.19,2 — ი. ფერაკი.

▲ **ოსლო.** ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონმა მაიკლ ლარაბიმ 400 მ გაირბინა 45,4 წამში. ეს შედეგი საუკეთესოა მიმდინარე წელს მსოფლიოში.

▲ **ჰელსინკი.** დაბა იალასიარვიში ფინეთის ახალი რეკორდი — 10,3 — დაამყარა 100 მ რბენაში 20 წლის სპრინტერმა ტიმო ვირკალამ.

▲ **ვიიკინმიაკი** (ფინეთი). გაიმართა გფრ-ისა და ფინეთის მსროლელთა მატჩი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს სტუმრებმა. სილუეტებში პისტოლეტიდან სწრაფსროლაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლინოსვუომ (ფინეთი), მხოლოდ III ადგილის დაკავება შეძლო. ამ სახეობაში ყველას აჯობა ფინელმა ი. ხუხტინენმა.



ამსტერდამში აკადემიურ ნიჩბოსანთა ახლახანს დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მათი ნავები ფინალში სამჯერ პირველი და ორჯერ მეორე იყო.

სურათზე: ევროპის 1964 წლის ჩემპიონი ვ. ივანოვი (სსრ კავშირი) და ჰოლანდიელი რ. კროენი (მარცხნივ) ფინიშის შემდეგ.

ფოტო აპ-საკდესისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## ეს იქნება დელისის იპოდრომზე

15-დან 18 აგვისტომდე თბილისში, დელისის იპოდრომზე გაიმართება.

### სოფლის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრება ცხენოსნობაში.

შეჯიბრების კალენდარი ასეთია: 15 აგვისტო — სამჭიდი (სამანეჟო სვლა), ორჭიდი (სამანეჟო სვლა). დაბრკოლებათა გადალახვა (ამორჩევით), დაბრკოლებათა გადალახვა (გახსნის პრიზი).

შეჯიბრება იწყება დილის 9 საათზე. საზეიმო გახსნა დანიშნულია 16 საათისთვის.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე) — პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5.41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომშვები — 3-81.



ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგ რაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11292